*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

# საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**ტურიზმი**

**მეექვსე საფეხური, საბაკალავრო პროგრამა**

**შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტი“**

შეფასების თარიღ(ებ)ი: 17-26 მარტი, 2025

დასკვნის  წარდგენის თარიღი: 5 მაისი,  2025

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ........................................................ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.................................................... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.................................................. 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა........................................................................................................... 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........................................................................................................... 18

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა........................................... 24

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ......................................................................... 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები...................................................... 34

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტი“: |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლეკაშვილი ეკა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ტურიზმი |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Tourism |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მეექვსე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ტურიზმის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | მოზაურობა, ტურიზმი და დასვენება, 1015 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>05/07/2019, გადაწყვეტილება N155 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტის“ მიერ შესაფასებლად წარმოდგენილია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმის“ შესახებ თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტები. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა ინსტიტუციის მიერ საგანამანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები, ,ეროვნული კვლაიფიკაციების ჩარჩოსთან“ და ,,სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ მიმართებით.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანამდე პროგრამის დასახელება იყო ,,ტურიზმი“ და მას ცვლილება არ განუცდია. არ შეცვლილა კვალიფიკაციის დასახელება - ,,ტურიზმის ბაკალავრი“, რომელიც ენიჭება პროგრამის კურსდამთავრებულს, თუმცა შეიცვალა კვალიფიკაციის კოდი 1120-ის ნაცვლად 1015-ით. დეტალური სფეროს აღწერილობის მიხედვით - მოგზაურობა და ტურიზმი შეისწავლის ტურისტული მიმართულებებისა და ღონისძიებების მარკეტინგსა და რეკლამირებას. ის მოიცავს ბილეთებისა და დაჯავშნის საკითხებს, ხოლო დასვენება შეისწავლის ჯგუფებისა და ინდივიდების რეკრეაციულ და დასვენების აქტივობებს. პროგრამის შედეგები შედარდა დეტალური სფეროს აღწერილობის მიხედვით მოცემულ შინაარსთან.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფმა დამატებით გამოითხოვა შემდეგი დოკუმენტები:

- პროგრამის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სასწავლო კურსები შედეგების რა დონეს უზრუნველყოფენ;
- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდიკა და პერიოდულობა;
- პერსონალის საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხი, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი მექანიზმები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (საერთაშორისო კვლევები, უსდ - სთან აფილირებით გამოქვეყნებული ნაშრომები, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი, გაცვლითი და/ან ერთობლივი პროგრამები, ორმხრივი შეთანხმებები, მემორანდუმები, და სხვა);
- სტუდენტური კონფერენციები, განხორციელებული პროექტები და ა. შ.;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

---

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით შპს „საქართველოს უნივერსიტეტის“ მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმის“ შეფასება განხორციელდა 1-ელი, მე-2-ე და მე-4 სტანდარტების კომპონენტების მიხედვით. შეჯამებული შეფასება კომპონენტების მიხედვით შემდეგი სახისაა:

შეჯამების სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სრულად აკმაყოფილებს ყველა კომპონენტი, გარდა 1.5, 2.2. და 4.1 კომპონენტებისა, რომლებიც მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

- რეკომენდაციები

  - მიზანშეწონილია განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში და გადამუშავდეს პროგრამის სილაბუსები განახლებული ლიტერატურის შესაბამისად (1.5).
  - მიზანშეწონილია განახლდეს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, პრაქტიკის ობიექტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებით (2.2).
  - რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება (4.1).

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია, პროგრამის სტრუქტურის ნაწილში მოცემული იყოს ინფორმაცია სასწავლო კურსების წინაპირობების შესახებ (1.4).
  - სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც წარმდგენილ სილაბუსებში (სილაბუსების ნაწილ დაფორმატებულია, ნაწილი - არ არის დაფორმატებული, ნაწილში მოცემული ბმულები არ იხსნება და ა.შ) (1.5).
  - სასურველია, პროგრამის წინაპირობებში აისახოს პროგრამაზე ჩარიცხვის სხვა შესაძლებლობებიც (მაგ: ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა), რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით (2.1).

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდენილი ანგარიშის, თანდართული დოკუმენტების და დამატებით გამოთხოვილი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, რეკომენდაციების ნაწილში წარმოდგენილ ჩამონათვალთან ერთად, განისაზღვრული იყო შემდეგი რეკომენდაციები:

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოჩინდეს მდგრადი ტურიზმის კონტექსტი (1.2).
- მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული იყოს მხოლოდ ერთი ზმნა (1.2).
- მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში შემუშავდეს რუკა, რომელიც ასახავს მათი მიღწევის სიღრმეს (Introduction (I), Development (D), and Mastery (M) შესაბამისად) (1.3).
- მიზანშეწონილია განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში და გადამუშავდეს პროგრამის სილაბუსები განახლებული ლიტერატურის შესაბამისად (1.5).
- მიზანშეწონილია განახლდეს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, პრაქტიკის ობიექტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებით (2.2).
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება (4.1).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების "31-ე მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს გამოეგზავნა შპს საქართველოს უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია „ტურიზმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში (ბრძანება №264088, 11/03/2025) ჩვენს მიერ შემუშავებული დასკვნის პროექტის შესახებ. წერილს თან ახლდა ინსტიტუციის არგუმენტირებული პასუხი თანდართული დოკუმენტებით.

ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების საპასუხოდ, ინსტიტუციის არგუმენტირებულ პასუხში ვკითხულობთ:

1. *მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგებში წარმოჩინდეს მდგრადი ტურიზმის კონტექსტი (1.2).*

**დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას** და აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებში ტერმინი „მდგრადი" არ ფიგურირებს, თუმცა, პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს მდგრადი ტურიზმის პრინციპებს როგორც შინაარსობრივ დონეზე (სასწავლო კურსების სილაბუსებში), ასევე სწავლის შედეგების ფორმულირებაში. სწავლების შედეგებში უკვე ასახულია მდგრადობასთან დაკავშირებული ძირითადი კომპონენტები: „აღწერს... ეკო-აგრო ტურიზმის და გარემოს დაცვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, როლსა და ფუნქციებს", „იაზრებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემას (პასუხისმგებლიანი ტურიზმის იდეა); "აწზოგადებს ტურიზმის პოლიტიკური გადაწყვეტილებასა და სამართლებრივ საკითხებს", სამართლებრივი ჩარჩოები განსაზღვრავენ მდგრადობის სტრატეგიებს ა.შ. ეს კომპონენტები შემადგენელი ნაწილია მდგრადი ტურიზმის პრინციპებისა, რაც გულისხმობს ეკოლოგიურ, კულტურულ და სოციალურ პასუხისმგებლობას. გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულება ითვლისწინებს ექსპერტთა მოსაზრებას - პროგრამის სწავლის შედეგებში ცვლილება ასახულია.

- *აღწერს საქართველოს ისტორიის, რეგიონების, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (კურორტებისა და საკურორტო-ადგილების, დაცული ტერიტორიების), ეკო-აგრო ტურიზმის და გარემოსდაცვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, როლსა და ფუნქციებს მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით*

- *ანზოგადებს ტურიზმის პოლიტიკური გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ რეგულაციებს მდგრადი განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით*

მტკიცებულება:

*ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა*

2. ***მიზანშეწონილია პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებისას გამოყენებული იყოს მხოლოდ ერთი ზმნა (1.2).***

**დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას** და აღნიშნავს, რომ ცვლილება ასახულია – პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბდა მხოლოდ ერთი ზმნის გამოყენებით."

მტკიცებულება:

*ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა*

3. ***მიზანშეწონილია, პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში შემუშავდეს რუკა, რომელიც ასახავს მათი მიღწევის სიღრმეს (Introduction (I), Development (D), and Mastery (M) შესაბამისად) (1.3).***

**დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას** - შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს შედეგების მიღწევების სიღრმეს. თუმცა, რამდენადაც, საქართველოს უნივერსიტეტს აქვს უნიფიცირებული შაბლონი, *მიზანშეწონილად მივიჩნევთ რუკის ცალკე დანართად შენარჩუნებას; საჭიროების შემთხვევაში, უსდ მზად არის წარადგინოს ეს რუკა როგორც თანდართული დოკუმენტი ან შიდა სამუშაო მექანიზმი აკადემიური ანალიზისთვის.*

4. ***მიზანშეწონილია განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში და გადამუშავდეს პროგრამის სილაბუსები განახლებული ლიტერატურის შესაბამისად (1.5).***

**დაწესებულება იზიარებს რეკომენდაციას,** აღნიშნულთან დაკავშირებით უსდ-მ უკვე განახორციელა გარკვეული ცვლილებები (მაგალითად: ს.ცირამუა, 2018 წელი,"გეო-ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში" დაემატა 2022 წლის განახლებული ვარიანტი იმავე სახელწოდებით; კ.არაბული, 2006-*საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, დამხმარე სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელო - შეიცვალა საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები,2022 (ლექტორის სალექციო კურსი), დარგობრივ ინგლისურს დაემატა ახალი სახელმძღვანელო* English for Tourism Vocabulary Builder,Jackie Bolen, www.eslspeaking.org, 2021 *და სხვა.* თუმცა, ეს არ ზღუდავს მუდმივ რეჟიმში თანამედროვე ლიტერატურის მოძიებას. ეს გრძლევადიანი, დინამიური პროცესია და მას უსდ ეტაპობრივად განახორციელებს.

5. *მიზანშეწონილია განახლდეს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან, პრაქტიკის ობიექტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობის და პრაქტიკის ხანგრძლივობის მითითებით (2.2).*

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და აღნიშნავს, რომ ტურიზმის პროგრამის ფარგლებში გაფორმებული მეომრანდუმების (2021-2025 წლები) უმრავლესობა უვადოა; მემორანდუმებში, მითითებული არ არის პრაქტიკის ობიექტზე მისაღების სტუდენტების რაოდენობა და პრაქტიკის ხანგრძლივობა. გარემოების გათვალისწინებით, დაწესებულება უზრუნველყოფს მათში დეტალურად აისახოს ზემოხსენებული ინფორმაცია.

6. *რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გააქტიურება (4.1).*

დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა რეკომენდაციას და აღნიშნავს, რომ *საქართველოს უნივერსიტეტის სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, პერსონალის პროფესიული განვითარების, მათ შორის გადამზადებისა და კვლევითი აქტივობების ხელშეწყობის კუთხით, გატარებულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები.*

*აღნიშნული რეკომენდაციის განხორციელდება კიდევ უფრო მეტად აქტიურად, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში აკადემიური პოტენციალის სრულად რეალიზებას.*

***აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით, დასკვნაში შენარჩუნდა მხოლოდ 1.5, 2.2. და 4.1 კომპონენტებზე გაცემული რეკომენდაციები.***

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტის“ ვებ გვერდზე განთავსებულია უნივერსიტეტის მისია: კერძოდ, ,,ჩვენი საქმიანობაა ცოდნის წარმოება და პიროვნების განათლება, რაშიც ვგულისხმობთ ადამიანში ლიბერალურ-ჰუმანური ღირებულებების გაღვივებას, და მის აღჭურვას კეთილსინდისიერი შრომით წარმატების მისაღწევად საჭირო ცოდნითა და უნარებით.
ყოველივე ამას ვახორციელებთ კომპეტენციის ცენტრების და იმგვარი პლატფორმის შექმნით, სადაც უზრუნველყოფილია ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განხორციელება; ისეთი გარემოს შექმნით, სადაც პიროვნებას შემოქმედებითი, ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობების გამოვლენისა და რეალიზების მაქსიმალური ასპარეზი ეძლევა.
ჩვენი საქმიანობით, რასაც მუდმივად ინოვაციური მიდგომით ვანხორციელებთ, ისევე, როგორც ინსტიტუციური სრულყოფილებისკენ სწრაფვის საკუთარი მაგალითით წვლილი შეგვაქვს საზოგადოების დემოკრატიულ განვითარებაში, ქართველი ერისა და კაცობრიობის საკეთილდღეოდ“.
პროგრამის მიზანია: ,,მოამზადოს კომპეტენტური/კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებსაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნებათ ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების, გარემოსდაცვის და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის, როლისა და ფუნქციების შესახებ საფუძვლიანი თეორიული ცოდნა და ტურისტული პროდუქტის შექმნის, ტურების/ექსკურსიების დაგეგმვის და განხორციელების, ქართულ და ინგლისურ ენებზე ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევების თუ ძირითადი ტენდენციების შესახებ ანგარიშის მომზადებისა და წარდგენის უნარი. კურსდამთავრებულებს გაცნობიერებული ექნებათ საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, კულტურისა და ტრადიციების პატივისცემა“.
პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და ხედვასთან. ამასთან, საგანამანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება პროგრამის დასახელებას ,,ტურიზმი“.
ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის განმარტებით ,, ტურიზმი, როგორც სწავლის სფერო, სხვადასხვა კომბინაციით მოიცავს: ჰუმანიტარულ, სოციალურ,

ეკონომიკურ, საბუნებისმეტყველო და სხვა მიმართულებებს“. პროგრამის მიზნები თანხვედრაშია ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლთან. პროგრამის მიზნები ნათელი და რეალისტურია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- უნივრსიტეტის ვებ-გვერდი: https://ug.edu.ge/mission-vision
- ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები განახლებული იყო ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, აქტიური ზმნების გამოყენებით და ფორმულირებული იყო შემდეგი სახით:

1. განსაზღვრავს/განმარტავს ბიზნესის და ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის ძირითადი პრინციპების, ტურიზმის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის და მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლებს.
2. აანალიზებს/აღწერს ძირითადი სტატისტიკური მეთოდებსა და ინდიკატორებს.

3. აღწერს საქართველოს ისტორიის, რეგიონების, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (კურორტებისა და საკურორტო-ადგილების, დაცული ტერიტორიების), ეკო-აგრო ტურიზმის და გარემოსდაცვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, როლსა და ფუნქციებს.
4. განსაზღვრავს/იდენტიფიცირებას ახდენს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ეტაპების, სასტუმროს კლასიფიკაციის და მენეჯმენტის, კვების და სასმელების ობიექტების მართვის/ადმინისტრირების საკითხებს.
5. აანალიზებს ტურისტული სააგენტოების ფუნქციონირების მექანიზმებს.
6. აყალიბებს/ახდენს საოფისე კომპიუტერული პროგრამების და გეო-ინფორმაციული სისტემის საშუალებით თემატური ტურისტული რუკების, ტურისტული ობიექტების ატრიბუტული (ფოტო და ტექსტური) მონაცემების გის-ში შეტანას, შენახვას, დამუშავებას და გამოტანას.
7. ახდენს/ადგენს ტურისტული პროდუქტის შექმნის/ფორმირების, ტურების/ ექსკურსიების დაგეგმვის, თვითღირებულების გამოთვლას და ფასის განსაზღვრას.
8. აანალიზებს ტურიზმის სტატისტიკური მონაცემების ბაზიდან ძირითადი ინდიკატორების იმპორტს.
9. ახდენს განთავსების საშუალებების/კვების ობიექტების სტატისტიკური ინდიკატორების გამოთვლას.
10. ახდენს ღონისძიების იდეის/კონცეფციის ინიცირებას, დაგეგმვა-შემუშავებას, განხორციელებას, მართვას.
11. ანზოგადებს ტურიზმის პოლიტიკური გადაწყვეტილებასა და სამართლებრივ საკითხებს.
12. ამზადებს ტურიზმის დარგში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან და ტენდენციებთან დაკავშირებული ემპირიულ მასალებს.
13. ამზადებს ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევების თუ ძირითადი ტენდეციების შესახებ ანგარიშს (პრეზენტაცია) და წარდგენს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
14. აწარმოებს ეფექტურ წერილობით და ელექტრონულ კორესპონდენციას და ამ პროცესში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
15. ირჩევს საკუთარ პროფესიულ ინტერესს /საჭიროებას და დამოუკიდებლად წყვეტს რა მიმართულებით განაგრძოს სწავლა სწავლების შემდგომ საფეხურზე ან გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა სასერთიფიკატო კურსებისა და სატრეინინგო პროგრამების საშუალებით.
16. იაზრებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემას.

პროგრამის სწავლის შედეგებში ასახულია მხოლოდ კვალიფიკიაციის განმსაზღვრელი სავალდებულო კომპონენტების შინაარსი.

**კვალიფიკაციის მისაღწევი კომპეტენციები ცოდნა-გაცნობიერებას, უნარს, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის კატეგორიებს მოიცავს, თუმცა არ არის დაჯგუფებული ამ ნიშნით.**

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია (**მნიშვნელოვანია შედეგების ფორმულირების დროს მხოლოდ ერთი ზმნის გამოყენება, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ზმნები შინაარსობრივად და მოქმედების სიღრმის მიხედვით განსხვავებულია.** მაგალითად: განსაზღვრავს/განმარტავს, აანალიზებს/აღწერს, განსაზღვრავს/იდენტიფიცირებას ახდენს და სხვა) **ინსტიტუციამ გაითვალისწინა და ასახა არგუმენტირებულ პასუხში და თანდართულ დოკუმეტებში. ცვლილებების შედეგად პროგრამის შედეგებმა შედეგი სახე მიიღო:**

- განმარტავს ბიზნესის და ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის ძირითად პრინციპებს, ტურიზმის საფუძვლების, ფინანსური აღრიცხვის და მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლებს.

- იყენებს ძირითად სტატისტიკურ მეთოდებსა და ინდიკატორებს.
- აღწერს საქართველოს ისტორიის, რეგიონების, ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (კურორტებისა და საკურორტო-ადგილების, დაცული ტერიტორიების), ეკო-აგრო ტურიზმის და გარემოსდაცვის და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობას, როლსა და ფუნქციებს მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებით
- ახდენს იდენტიფიცირებას სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ეტაპების, სასტუმროს კლასიფიკაციის და მენეჯმენტის, კვების და სასმელების ობიექტების მართვის/ადმინისტრირების საკითხებს.
- აანალიზებს ტურისტული სააგენტოების ფუნქციონირების მექანიზმებს.
- ახდენს საოფისე კომპიუტერული პროგრამების და გეო-ინფორმაციული სისტემის საშუალებით თემატური ტურისტული რუკების, ტურისტული ობიექტების ატრიბუტული (ფოტო და ტექსტური) მონაცემების გის-ში შეტანას, შენახვას, დამუშავებას და გამოტანას.
- ახდენს ტურისტული პროდუქტის შექმნის/ფორმირების, ტურების/ ექსკურსიების დაგეგმვის, თვითღირებულების გამოთვლას და ფასის განსაზღვრას.
- აანალიზებს ტურიზმის სტატისტიკური მონაცემების ბაზიდან ძირითადი ინდიკატორების იმპორტს.
- ახდენს განთავსების საშუალებების/კვების ობიექტების სტატისტიკური ინდიკატორების გამოთვლას.
- ახდენს ღონისძიების იდეის/კონცეფციის ინიცირებას, დაგეგმვა-შემუშავებას, განხორციელებას, მართვას.
- ანზოგადებს ტურიზმის პოლიტიკური გადაწყვეტილებებსა და სამართლებრივ რეგულაციებს მდგრადი განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით
- ამზადებს ტურიზმის დარგში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებთან და ტენდენციებთან დაკავშირებული ემპირიულ მასალებს.
- ამზადებს ტურიზმის დარგში არსებული გამოწვევების თუ ძირითადი ტენდეციების შესახებ ანგარიშს (პრეზენტაცია) და წარდგენს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- აწარმოებს ეფექტურ წერილობით და ელექტრონულ კორესპონდენციას და ამ პროცესში იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.
- ირჩევს საკუთარ პროფესიულ ინტერესს /საჭიროებას და დამოუკიდებლად წყვეტს რა მიმართულებით განაგრძოს სწავლა სწავლების შემდგომ საფეხურზე ან გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა სასერთიფიკატო კურსებისა და სატრეინინგო პროგრამების საშუალებით.
- იაზრებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ქვეყნის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი
- ინსტიტუციის არგუმენტირებული პასუხი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია ცხრილი დასახელებით ,,პრერეკვიზიტების მატრიცა', სადაც მოცემულია ინფორმაცია შეფასების ქულების მიხედვით: შედეგების საშუალო კოეფიციენტი (GPA), საუნივერსიტეტო შეფასება და საქართველოში მოქმედი ზოგადი შეფასება. სხვა დეტალები პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი, რაც აუცილებელია, რომ აისახოს პროგრამაში.

ანგარიშში მოცემულია კომპონენტი 4.6 სწავლის შედეგების შეფასება, სადაც წარმოდგენილია ცხრილი სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ. მომდევნო ცხრილი კი სწავლის შედეგების, შემფასებლების და სწავლის შედეგების მიღწევის მტკიცებულებების შესახებ გვაწვდის ინფორმაციას. რადგან ანგარიშის ეს ნაწილი არ გვაძლევდა სრულყოფილ ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულების, შეფასების ინსტრუმენტების და პერიოდულობის შესახებ, ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა დამატებით აღნიშნული ინფორმაცია. უნივერსიტეტმა წარმოადგინა პროგრამის კურსების გადანაწილება დონეების მიხედვით, თუმცა იგივე ფორმით, სადაც არ ჩანს სასწავლო კურსების მიხედვით მიღწეული შედეგების სიღრმე (Introduction (I), Development (D), and Mastery (M)). სასწავლო კურსთან არის მინიშნებები(აბრევიატურები), თუმცა კონკრეტულად რომელი შედეგი რა ხარისხით არის უზრუნველყოფილი, გაურკვეველი იყო. ინსტიტუციიდან მიღებული არგუმენტირებული პასუხი კი გვაწვდის დიკუმენტს, სადაც მოცემულია ცალეული სასწავლო კურსის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე, შესაბამისად, რეკომენდაცია მოიხსნა.

ამასთან, უსდ-სგან მიღებულ იქნა დოკუმენტი ,,სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდიკა და პერიოდულობა“. სამიზნე ნიშნულის დადგენის პროცესი მოიცავს მონაცემთა ანალიზს, სტუდენტთა მიღწევების შეფასებასა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვას.

მონაცემთა შეგროვება და ანალიზი ხორციელდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისთვის უნივერსიტეტი ეყრდნობა: სტუდენტთა ქულების განაწილების

ისტორიულ მონაცემებს ბოლო 2-3 წლის განმავლობაში; საგნის კურატორებთან და ლექტორებთან ერთად აკადემიური პროგრესის ანალიზს, რომელიც მოიცავს საგნების მიხედვით მიღწეული შედეგების შეფასებას; აკრედიტაციის მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს. სამიზნე ნიშნულის განსაზღვრისას უნივერსიტეტი მიმართავს სტუდენტთა ქულების განაწილების პროპორციულ მოდელს, რომელიც ემყარება მიღწევების შეფასებასა და ადეკვატურ სტანდარტებს.

| შეფასება | ქულების დიაპაზონი | მოსალოდნელი განაწილება |
|---|---|---|
| A | 91-100 | 10% |
| B | 81-90 | 25% |
| C | 71-80 | 30% |
| D | 61-70 | 25% |
| E | 51-60 | 10% |

გადახრის შემთხვევაში (10%-ზე მეტი განსხვავებისას), საჭიროა დამატებითი ანალიზი და საჭიროებისამებრ ცვლილებების განხორციელება. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდება იმ მონაცემების შეგროვებაზე, რომლებიც შეეხება სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით არსებულ მონაცემთა განაწილებას. საბოლოოდ პროგრამისა და მასში შემავალი საგნების სამიზნე ნიშნულები დგინდება პროგრამის განვითარების საბჭოს მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- პროგრამის კურსების გადანაწილება დონეების მიხედვით
- სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის მეთოდიკა და პერიოდულობა
- ინსტიტუციის არგუმენტირებული პასუხი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა შემდეგი სახისაა: საბაკალაავრო პროგრამა 240 ECTS-ს მოიცავს, პროგრამა აგებულია ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები/საგნები/მოდულების (არანაკლებ 120 კრედიტის მოცულობით) და თავისუფალი კომპონენტების პრინციპით. პროგრამის ძირითადი სასწავლო კურსები 168 ECTS-ია, 24 ECTS პროგრამის სავალდებულო ასარჩევი ბლოკებიდან: STEM ბლოკიდან 6 ECTS და ჰუმანიტარულ-სოციალური ბლოკიდან - 18 ECTS. პროგრამის სავალდებულო ასარჩევი ბლოკიდან (18 ECTS)სტუდენტმა უნდა გაიაროს მინიმუმ 6 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკიდან 24 ECTS და თავისუფალი 18 ECTS.

პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურია. წინაპირობების დასადგენად ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სილაბუსები, ასევე პროგრამის სასწავლო გეგმა და ისე დაადგინა სასწავლო კურსების შეთავაზების ლოგიკურობა. გათვალსწინებულია აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცია სასწავლო კურსის ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში“ შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც ძირითად სასწავლო საგანთა ნუსხაშია.

პროგრამა სტეუდენტებს სთავაზობს 12 ძირითად სავალდებულო სასწავლო კურსს. დასაწყსში ხდება თეორიული საგნების მიწოდება, მოგვიანებით პრაქტიკული ნაწილის გაძლიერებით ხდება შედეგების გაღრმავება. სტუდენტს ზოგადი ტრანსფერული უნარების გამოსამუშავებლად და ასევე უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად მიეწოდება 24 კრედიტი სავალდებულო ასარჩევი ბლოკებიდან და 18 კრედიტი თავისუფალი ბლოკიდან, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს აირჩიოს და დაეუფლოს სხვადასხვა ნებისმიერ სასწავლო კურსს ნებისმიერი პროგრამიდან, თავისი ინტერესების შესაბამისად. ძირითად კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკის გარდა, სტუდენტს მიეწოდება დამატებითი პრაქტიკის კომპონენტი, სადაც ასევე ირჩევს პრაქტიკის ობიექტს სამი შეთავაზებული შესაძლებლობიდან.

პროგრამა შედგენილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია სტუდენტების დიფერენციაცია ენობრივი კომპეტენციების მიმართულებით. კერძოდ, სტუდენტი იწყებს ინგლისურ ენას იმ ეტაპიდან, რომელიც შეესაბამება მის ცოდნას, რაც დგინდება ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შეფასების და შიდა გამოცდის საფუძველზე.

პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებები შევიდა არჩევით ბლოკში. დარგის არჩევითი კურსების სახით დაემატა თურქული ენა, სამედიცინო-გამაჯანსაღებელი ტურიზმი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები
- ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის სტრუქტურის ნაწილში მოცემული იყოს ინფორმაცია სასწავლო კურსების წინაპირობების შესახებ.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სასწავლო კურსების სილაბუსების შესაწავლის შედეგად დადგინდა, რომ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ პროგრამაში მოცემულია რუკა, სადაც არის მუქი ველები მონიშნული, რომელიც ასახავს სასწავლო კურსების და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

სილაბუსების შესწავლისას დაფიქსირდა, რომ რიგ შეთხვევებში გასაახლებელია ლიტერატურა. მაგალითად, სავალდებულო ლიტერატურაში ,,ანალიტიკური და რაოდებრივი აზროვნება" 2015 წლის ლიტერატურაა მითითებული, ანალოგიურად, ,,ეკო-აგრო ტურიზმი და გარემოს დაცვა" ( 2008, 2012), ,,კვებისა და საასმელის მენეჯმენტი" (2008, 2009, 2011), ,,სასტუმროს მენეჯმენტი"(2009) და სხვა.

სილაბუსში ,,კვლევის მეთოდები ტურიზმში" დასახელება შეცდომით წერია ,,შესავალი კვლევის მეთოდებში". ტექნიკური ხარვეზი აქვს სილაბუსს ,,ტურიზმის პოლიტიკა და სამართლებრივი გარემო", ,,ტუროპერეიტინგი".

ინსტიტუციამ წარმოადგინა ინფორმაცია ზოგიერთ კურსში განახლებული ლიტერატურის შესახებ, თუმცა დასძინა, რომ ეს პროცესი გრძელდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია განახლდეს ლიტერატურა სასწავლო კურსებში და გადამუშავდეს პროგრამის სილაბუსები განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც წარმდგენილ სილაბუსებში (სილაბუსების ნაწილ დაფორმატებულია, ნაწილი - არ არის დაფორმატებული, ნაწილში მოცემული ბმულები არ იხსნება და ა.შ).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი

ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზრვრულია შემდეგი სახით: საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №224/ნ (2011 წლის 29 დეკემბერი) ბრძანების შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და პრეზიდენტების ბრძანების საფუძველზე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სტუდენტისთვის სავალდებულოა ქართულის და ინგლისურის, ასევე ანკეტა-კითხვარის შესაბამისად განსაზღვრული მესამე საგნის ჩაბარება (ან მათემატიკა ან გეოგრაფია ან ისტორია).

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს საქართველოს უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს შიგა და გარე მობილობის საფუძველზე (საქართველოს კანონმდებლობის და საქართველოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მოთხოვნათა შესაბამისად).

პროგრამაზე დაშვების პირობები გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისწავდომია და უზრუნველყოფს იმ ცოდნისა და უნარების მქოენ პირთა პროგრამაში ჩართვას, რომლებიც მიაღწევენ პროგრამის სწავლის შედეგებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- ტურიზმის საბაკალავრო პროგრამა
- უნივრსიტეტისვებ-გვერდი: https://online.ug.edu.ge/programs/programs_full.php?programID[]=6016
- ტურიზმის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, პროგრამის წინაპირობებში აისახოს პროგრამაზე ჩარიცხვის სხვა შესაძლებლობებიც (მაგ: ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა), რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლეითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. ძირითადსასწავლო კურსებში შემოთავაზებულია ისეთი საგნები, როგორებიცაა, ანალიტიკური და რაოდენობრივი აზროვნება, პრაქტიკა სასტუმროში, საქმიანი ურთიერთოობები, კვლევის ეთოდები ტურიზმში.პროგრამის სავალდებულო არჩევითში მოცემულია პრაქტიკის სამი განსხვავებული ვარიანტი: პრაქტიკა მუზეუმში (1), დაცული ტერიტორიები (2), კურორტი (3).ინტერესსის და კარიერული თვალსაზრისის შესაბამისად სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიღრმავოს პრაქტიკული უნარები ამ კომპონენტის არჩევის შესაბამისად. შრომის ბაზარზე მეტი მოქნილობის უზრუნველყოფას პროგრამა ახორციელებს პროგრამის ასარჩევი სასწავლო კურსების, ასევე ჰუმანიტარული და სოციალური ბლოკის საგნების და STEM ბლოკის საგნების შეთავაზებით. კვლევითი უნარების განვითრებას უზრუნველყოფს ,,კვლევის მეთდები ტურიზმში“ და საბაკალავრო ნაშრომი (არჩევითი კომპონენტი).

პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება ხორციელდება საქართველოს უნივერსიტეტის მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმების სამართლებრივ საფუძველზე. პრაქტიკის ობიექტზე მიმდინარეობს პრაქტიკული მუშაობა, რომელსაც ხელმძღვაელობს პრაქტიკის ხელმძღვანელი. პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკას წარმართავს კურატორი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. სწავლის შედეგები წარმოდგენილია პრაქტიკის ანგარიშში, რომლის დაცვაც დასკვნითი გამოცდის სახით ხორციელდება კომისიის წინაშე. პრაქტიკას აქვს შუალედური შეფასება-პრეზენტაციის სახით.

